საექსპერტო დასკვნა

ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქ.თბილისი, რატევანის ქუჩა N30
ს.კ.: 01.12.09.005.036

06 თებერვალი, 2024 წელი

შემსრულებელი
სანდრო ლობჟანიძე

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის–"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე.

სარჩევი

სარჩევი 2
შენიშვნები 3
არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა 4
❖ დაგეგმარების საფუძველი და მიზნები 5
❖ 1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება 6
❖ 2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება. 7
❖ 3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება. 8
❖ 4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება. 9
❖ 5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება. 10
❖ 6. მისაწვდომობის შეფასება. 11
❖ 7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება. 12
❖ 8. სახურავის ანაწყობების შეფასება. 13
❖ 9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება. 14
❖ 10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება. 14
❖ 11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება. 15
❖ დასკვნა 16

შენიშვნები

- საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე "შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- პირობითი აღნიშვნები;
- შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ჭრილები;
- შენობა-ნაგებობის ფასადები;

❖ დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტი მიზნად ისახავს ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობის (შენობა ერთი საცხოვრებელი ერთეულით) დაგეგმარებას, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, რატევანის ქუჩა N30, (ს/კ - 01.12.09.005.036). მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 582 კვ.მ-ს, მას აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება კერძო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც უკვე განთავსებულია ან მიმდინარეობს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. სამხრეთიდან ნაკვეთს ესაზღვრება რატევანის ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთიდან გამწვანებული ტერიტორიები.
საპროექტო ნაკვეთი წარმოადგენს მკვეთრად დახრილ რელიეფს სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ნიშნულებს შორის სხვაობა საშუალოდ 7.5 მეტრს შეადგენს.

საპროექტო შენობის იატაკის 0.00 ნიშნულს შეესაბამება 524.30 მეტრი აბსოლიტური ნიშნულის მაჩვენებელი. პროექტის მიხედვით იგეგმება 4 სართულიანი შენობის მშენებლობა, რომლის მიწისპირა სართული განთავსდება -3.30 ნიშნულზე, ხოლო 0.00 და +3.30 ნიშნულებზე განთავსებული სართულები გზა-კიბის შუალედური ბაქნის დონიდან (+1.65 ნიშნული) ხიდის მეშვეობით დაუკავშირდება რატევანის ქუჩას.

საპროექტო(სანებართვო) დოკუმენტაციის მიხედვით -3.30 ნიშნულზე დაგეგმარებულია სავარჯიშო ოთახი, სარდაფის სივრცე, სველი წერტილი, სტუმრის საძინებელი და სამრეცხაო/საქვაბე ოთახი. 0.00 ნიშნულზე მოეწყობა საერთო ოთახი და სამზარეულო, ხოლო +3.30 და +6.60 ნიშნულები ძირითადად დაგეგმარდება საძიებელბით და მათი მომსახურე სველი წერტილებით, +6.60 ნიშნუზლე საძინებლებთან ერთად მოეწყობა სახლის კინოთეატრის ოთახი.

შენობის სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან **(-2.31=521.99 მეტრი)** შეადგენს **12.21 მეტრს. შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე შეადგენს 10.10 მეტრს.**

შენობის სტრუქტურა წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სვეტების და კოჭების ჩარჩო-კავშირებიან სისტემას სართულშუა ფილებად ასევე გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონი.

შენობის გადახურვა არის ბრტყელი კონსტრუქცია.
სახურავის ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვის ქანობი შეადგენს 2%-ს და შედგება შემდეგი ფენებისგან:

- ჰიდროიზოლაციის ფენა - რუბეროიდი
- ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა 5 სმ
- ქვიშის ფენა ქანობისთვის
- ჰიდროიზოლაცია

- თბოიზოლაცია 10 სმ XPS
- ორთქლიზოლაცია
- გაძლიერებული ბეტონის ფილა 20 სმ

საპროექტო(სანებართვო) დოკუმენტაციის მიხედვით შენობის გარე კედლების ძირითადი ნაწილი შეილესება და შეიღებება საფასადე წყალმედეგი ემულსიური საფასადე საღებავით. მოსაპირკეთებელ მასალებად დამატებით გამოყენებული იქნება ლითონის და ხის ელემენტები.

შენობის კონსტრუქციის ტიპი მისი სიმაღლისა და გაბარიტებიდან გამომდინარე შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით განისაზღვრა - **II-B.**

❖ 1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობის სანებართვო დოკუმენტაცია ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია საცხოვრებელი **(სც-3)** ჯგუფის დაკავებულობა, კერძოდ:

საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-3,** წესების **310.5 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დაკავებულობებს, რომლის დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივი მაცხოვრებლები არიან და რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც **სც-1, სც-2, სც-4** ან **დწ** ჯგუფის დაკავებულობები. საპროექტო შენობის ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე მთელი შენობა წარმოადგენს ერთი საცხოვრებელი ერთეულის მქონე ნაგებობას, სადაც **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობა განთავსებულია **-3.30, +/-0.00, +3.30** და **+6.60** ნიშნულებზე.

საცხოვრებელი ერთეულის შემადგენელი ოთახები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეთავით** განსაზღვრულ საცხოვრებელი ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 2.90 მეტრი), **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2.70 მეტრი) და **1208.3 ქვეთავის** მოთხოვნას საცხოვრებელ ერთეულის ოთახის ფართობებთან დაკავშირებით-საცხოვრებელი ოთახის მინიმალური ფართობი შეადგენს **80.7 კვ.მ-ს,** ხოლო საძინებლის მინიმალური ფართობი **12.2 კვ.მ-ს**

სც-3 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6** (საცხოვრებელი), **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ შენობაში განთავსებულია მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ერთეული, მთლიანი დაკავებულობის დატვირთვის ფართობიდან **(594.1 კვ.მ)** გამომდინარე დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **39** დამკავებელს.
სართულების მიხედვით დაკავებულობის დატვირთები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- -3.30 ნიშნული - 10 დამკავებელი
- +/-0.00 ნიშნული - 9 დამკავებელი

- +3.30 ნიშნული - 10 დამკავებელი
- +6.60 ნიშნული - 10 დამკავებელი

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე სც-3 ქვეჯგუფის დაკავებულობას არ მოეთხოვება 420 ქვეთავით მოთხოვნილი გამმიჯნავების უზრუნველყოფა, რადგან შენობა არ მოიცავს ერთ საცხოვრებელ ერთეულზე მეტს.

პოექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი წესების **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **II-B** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის ჩარჩოებ-კავშირიანი კარკასული სისტემა), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვის კონსტრუქცია) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს**, ხოლო სახურავის და სართულშუა გადახურვის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **1 საათს** და აღემატება **601 ცხრილში II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ (0 საათი) ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციული ტიპის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს*

განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

❖ 3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503- ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(II-B)** გამომდინარე. შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **(II-B)** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **16.8** მეტრს, ხოლო დასაშვები სართულიანობა **სც-3** ქვეჯგუფისთვის **4** სართულს, სართულის დასაშვები ფართობი **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის შეუზღუდავია.

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის დონის ნიშნულის ზემოთ **4 სართული,** შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **12.21 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან (-2.31=521.99 მეტრი).**

წესების **503 ცხრილის** მიხედვით **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის დასაშვები ფართობი შეუზღუდავია, თუმცა საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობის ფართობი შეადგენს **594.1 კვ.მ-ს**.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503-ცხრილის მოთხოვნებს.**

სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, მე-3** გამონაკლისიდან გამომდინარე, ასევე წესების **1015.1 ქვეთავის** მიხედვით შენობის მიწისპირა სართულს (**სც-3** ჯგუფის დაკავებულობა) ემსახურება ერთი შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე და 2 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი, ხოლო 1, მე-2 და მე-3 სართულებს (**სც-3** ჯგუფის დაკავებულობა) მინიმუმ 1 გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწისპირა სართულზე, -3.30 ნიშნულზე არსებულ **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობას დაკავებულობის დატვირთვიდან **(10 დამკავებელი)** და გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილიდან **(12.9 მეტრი)** გამომდინარე ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე და 2 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკავშირებით.

პირველ სართულზე **(0.00 ნიშნული)** მდებარე **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობას, წესების **1015.1 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე, რომელიც შუალედური ბაქნის დონიდან +1.65 ნიშნული საფეხმავლო ხიდით უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას.

საპროექტო შენობის მე-2 სართულს **(+3.30 ნიშნული)** დაკავებულობის ჯგუფიდან **(სც-3)** და სართულზე დაკავებულობის დატვირთვიდან (10 დამკავებელი) გამომდინარე ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1015.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მე-3 სართულს **(+6.60 ნიშნული)** დაკავებულობის ჯგუფიდან **(სც-3)** და სართულზე დაკავებულობის დატვირთვიდან (10 დამკავებელი) გამომდინარე ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1015.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობას მიწისპირა სართულზე (-3.30 ნიშნული) განთავსებულია 3 გასასვლელი. წესების **1016.2 ცხრილის** მიხედვით **სც** ჯგუფის დაკავებულობაში დასაშვები გასასვლელამდე

სავალი მაქსიმალური მანძილი არ უნდა აღემატებოდეს **60 მეტრს,** პროექტის მიხედვით აღნიშნული მანძილი შეადგენს **45.5 მეტრს** და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. უნდა აღინიშნოს რომ შენობის შიგა გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე წესების **1009.3 ქვეთავის** მე-2 გამონაკლისის მიხედვით არ საჭიროებს შემოზღუდვას
გასასვლელთან მისადგომი შიგა დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** მიხედვით, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.
გასასვლელები გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების *შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ სპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად.
გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(10 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(7,6 მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმზე **(0.90 მეტრი)** მეტი სიგანის გზა-კიბე **(1.10 მეტრი)** და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

შიგა გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე, ასევე აკმაყოფილებს წესების **1009.7, 1009.8**, **1009.11** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი).

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საცხოვრებელი ერთეულის ფარგლებში დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2** ქვეთავის და სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2.**

ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0.9 მ)** მეტი სიგანის დერეფანი, მინ.**1.00 და 1.40 მეტრი.**
გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82 მეტრს,** პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0.82 და 0.92 მეტრს.**

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.
შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელ ფართობებზე) რაოდენობა (**1021 ქვეთავის** მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია **1008 ქვეთავის**, დაკავებულობის დატვირთვის (**1004 ქვეთავი)** და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის **(5,1 მმ)** მიხედვით და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას, ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხოვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 6. მისაწვდომობის შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 1103.2.4 ქვეთავის მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს, რომ „ერთი ან ორი ოჯახის ცალკე მდგომი საცხოვრებლები და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე, მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას“ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო შენობის მისაწვდომობა არ არის განხილული.

❖ 7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად:

“1-4“ ”4-1“ და „გ-ა“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი აღემატება 3 მეტრს და წესების 602 ცხრილის მიხედვით, შენობის კონსტუქციის ტიპიდან **(IIB)** გამომდინარე არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას.

“ა-გ“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი ნაკლებია 3 მეტრზე (2.80) და წესების 602 ცხრილის მიხედვით, შენობის კონსტუქციის ტიპიდან **(IIB)** გამომდინარე საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას მინიმუმ 1 საათით, რაც წარმოდგენილი სანებართვო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

შენიშვნა:

<u>გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.</u>

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობისუსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და*

შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

❖ 8. სახურავის ანაწყობების შეფასება.

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (0 სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი.
სახურავის ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვის ქანობი შეადგენს 2%-ს და შედგება შემდეგი ფენებისგან:

- ჰიდროიზოლაციის ფენა - რუბეროიდი
- ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა 5 სმ
- ქვიშის ფენა ქანობისთვის
- ჰიდროიზოლაცია
- თბოიზოლაცია 10 სმ XPS
- ორთქლიზოლაცია
- გაძლიერებული ბეტონის ფილა 20 სმ

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.6 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მინერალურზედაპირიანი რულონის ბურულის მქონე სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და **1507.10 ქვეთავით** განსაზღვრულ მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი1505.1ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია წესების **1507.6.5 ქვეთავის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM D 226, ტიპი I ან ASTM 4869–ს ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას.

სახურავის ანაწყობების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
პროექტში წარმოდგენილია ერთი დაკავებულობა **სც-3** ჯგუფის სახით.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის შიგნით არსებული შახტები დაცულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე შემომზღუდავებით. (ბეტონის ბლოკის კედლები)

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების *შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ხელის ცეცხლმაქრები (სც-3 ჯგუფის დაკავებულობაში)

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (სც-3 ქვეჯგუფის დაკავებულობაში(საძინებელი ოთახები)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **903.2.8 ქვეთავის** მე-2 გამონაკლისი მიხედვით საპროექტო შენობას და მის დამხმარე ნაგებობებს არ მოეთხოვება ავტოსაშხეფი სისტემა.
წესების **905.3 ქვეთავის** გამონაკლისის მიხედვით, ასევე არ არის გათვალისწინებული სახანძრო მილდგარების სისტემები.
წესების **907.2.11.2 ქვეთავის** მოთხოვნიდან გამომდინარე საპროექტო შენობის **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობის საძინებელი ფართობები აღჭურვილია კვამლზე მორეაგირე მოწყობილობებით, ასევე ხმოვანი და ვიზიუალური განგაშის სისიტემით.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის გასასვლელ საშუალებებს არ მოეთხოვება წესების **909 ქვეთავით** განსაზღვრული კვამლის საკონტროლო სისტემები.

წესების **906.1 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით ხელის ცეცხლმაქრების განთავსებულია**, სც-3** ჯგუფის დაკავებულობაში, კერძოდ სამზარეულოს ნაწილში.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის შესაბამისად.

წესების **1602.1 ცხრილის** მოთხოვნებიდან გამომდინარე, საპროექტო შენობის **სც-3** ქვეჯგუფის დაკავებულობას, საცხოვრებელ ერთეულზე მოეთხოვება თითო-თითო წყალსადენის ფიქსირებული ელემენტი, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წყალსადენის ფიქსირებული ელემენტების რაოდენობა აღემატება მოთხოვნილს.

წყალსადენის სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას*

❖ დასკვნა

ქალაქი თბილისი, რატევანის ქუჩა N30-ში **(ს/კ - 01.12.09.005.036)** მდებარე მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული, სანებართვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია მაღალ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ, სანებართვო პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ სპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: სანდრო ლობჟანიძე

თარიღი: 06.02.2024



საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
ILIA STATE UNIVERSITY

მაგისტრის დიპლომი
MASTER'S DIPLOMA

ISU № 000422

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის
2016 წლის 5 აგვისტოს №8 გადაწყვეტილებით
By decision №8 of the Faculty of Natural Sciences and Engineering
on this 5th day of August, 2016

სანდრო ლობჟანიძეს

დაბადებულს 22.01.1992

Sandro Lobzhanidze

Born on 22.01.1992

მიენიჭა

არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

რასაც ვადასტურებთ უნივერსიტეტის ბეჭდითა და ჩვენი ხელმოწერებით

was conferred

THE DEGREE OF MASTER OF ARCHITECTURE

in witness thereof the seal of the University and our signatures are affixed

გიგა ზედანია
Giga Zedania

დავით თარხნიშვილი
David Tarkhnishvili



დეკანი
Dean

რექტორი
Rector

რეგისტრაცია Registration № 1821

თბილისი Tbilisi

თარიღი Date 10.11.2016

თბ. ზ.საკანდელიძის ქ.3
ტ- (99532) 2915257
Email: info@artstudio.ge

არტსტუდიო პროექტი

3. Z.Sakandelidze st, Tbilisi
Tel (99532) 2915257
Email: <info@artstudio.ge>

25.06.2020

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე სანდრო ლობჟანიძეს (პირადი №62007016164) მასზედ, რომ 2014 წლის აგვისტოდან დღემდე მუშაობს შპს "არტსტუდიო-პროექტში" არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

შპს "არტსტუდიო-პროექტის" დირექტორი
ირენე სკალვინი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-077

გადაეცემა

სანდრო ლობჟანიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი